საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში
# 2020
## I კვარტალი



24.06.2020
www.geostat.ge

# მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

## 2020 წლის I კვარტალი

მშენებლობის ღირებულების ინდექსი **წინა კვარტალთან შედარებით** 4.3 პროცენტით შემცირდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 16.3 პროცენტიანი კლებით, რამაც -5.01 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

**წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით** მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 5.1 პროცენტით. ინდექსის ზრდა, ძირითადად, გამოწვეული იყო სამეწარმეო სფეროში მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 9.5 პროცენტიანი ზრდით, ასევე სამშენებლო მასალებზე ფასების 3.3 პროცენტით ზრდით, რაც, შესაბამისად, 2.58 და 1.93 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის პირველ კვარტალში მშენებლობის ღირებულების ინდექსი წინა კვარტალთან და წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ხარჯების კატეგორიების შესაბამისი წვლილები:

| ხარჯების კატეგორიები | 2019 წლის IV კვარტალთან | წვლილი* კვარტალის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში | 2019 წლის I კვარტალთან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|---|
| **სულ** | **95.7** | **-4.26** | **105.1** | **5.07** |
| სამშენებლო მასალები | 101.1 | 0.62 | 103.3 | 1.93 |
| ხელფასები | 83.7 | -5.01 | 109.5 | 2.58 |
| მანქანა-დანადგარები | 100.0 | 0.00 | 100.0 | 0.00 |
| ტრანსპორტირება, საწვავი, ელექტროენერგია | 99.2 | -0.01 | 101.5 | 0.02 |
| სხვა ხარჯი | 101.7 | 0.14 | 106.3 | 0.54 |

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

**მშენებლობის ღირებულების ინდექსი**

(წინა წლის შესაბამისი კვარტალი = 100)




**საკონტაქტო პირი:**

გიორგი თეთრაული

ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).

ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge